ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N38

2022 წლის 29 დეკემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების **შესაბამისად:**

1. დამტკიცდეს თანდართული ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
2. განკარგულება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
ასლი დედანთან სწორია
პასუხისმგებელი პირის
სალვინარა
10. 01. 2023

დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2025 წწ.

1. შესავალი

ახალგაზრდობა საზოგადოების უმნიშვნელოვანესი რესურსია, რომლის როლი ქვეყნის განვითარებაში განსაკუთრებით დიდია. ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას. სწორედ ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად მართვისა და კოორდინაციისთვის საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 17 ივლისს დაამტკიცა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია" (საქართველოს პარლამენტის დადგენილება N7054-რს).

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. არსებობს ბევრი ისეთი სერვისიც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. სტრატეგია ემსახურება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალგაზრდული საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად მართვას.

„ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია 2023-2025" (შემდგომში „სტრატეგია") განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მიწოდებას და შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 3 წლის განმავლობაში. სტრატეგიის მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასში გათვალისწინებული რესურსები, სერვისები და პროგრამები ფოკუსირებული იყოს ბავშვებზეც სასკოლო ასაკიდან.

მნიშვნელოვანია სექტორთაშორისი თანამშრომლობა, რადგან ახალგაზრდობის წინაშე არსებულ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ძალისხმევით. აუცილებელია ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გაერთიანება და მათ შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის დამყარება.

2. ზოგადი ინფორმაცია

ხობის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობის ცენტრში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 676 კვადრატული კილომეტრია და მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 30548 ათას ადამიანს. მუნიციპალიტეტში 24 ადმინისტრაციული

ერთეულია, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლება ხობი, რომლის ფართობიც შეადგენს 735,62 ჰა, მოსახლეობა კი 7,177 ადამიანია:

1. ხობი;
2. ახალი ხიბულა;
3. ახალსოფელი;
4. ბია;
5. გურიფული;
6. ზემო ქვალონი;
7. თორსა-დღვაბა;
8. ნოჯიხევი;
9. პატარა ფოთი;
10. პირველი მაისი;
11. პირველი ხორგა;
12. საგვიჩიო;
13. საჯიჯაო;
14. ქარიატა;
15. ქვემო ქვალონი;
16. ყულევი;
17. შავღელე;
18. შუა ხორგა;
19. ძველი ხიბულა;
20. ხამისკური;
21. ჭალადიდი;
22. გაღმა საჯიჯაჯო;
23. შუა ქვალონი;
24. ხეთა.

3. პრინციპები

ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისა და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლბების დაცვა - პოლიტიკა აღიარებს და განამტკიცებს ახალგაზრდების უფლებებსა და თავისუფლებებს. დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია;
- ახალგაზრდების მონაწილეობა - პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება ხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით;
- ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა - პოლიტიკა ითვალისწინებს ახალგაზრდების, როგორც განსხვავებული ინდივიდების ინტერესებს, შესაძლებლობებს და სურვილებს;
- პარტნიორობა და თანამშრომლობა - პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება ხდება ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის აქტიური თანამშომრლობით და თითოეული მათგანის წვლილის აღიარებით;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა - პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიიღება სანდო კვლევებისა და მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების იდეებისა და გამოცდილების გათვალისწინებით;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა - პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდას თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი იმ სერვისებსა და აქტივობებზე, რომელიც არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას და გენდერულ თანასწორობას;
- გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება - პოლიტიკა უზრუნველყოფს გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მიღწევას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სისტემების, პლატფორმის და სერვისების შექმნაში.

4. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის 2020 წლის 13 ნოემბერს გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის და ა(ა)იპ „მშვიდობისა და განვითარების აკადემიის“ პროექტის - „ჩართულობითი და მხარდამჭერი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება სამეგრელოს რეგიონში“ - ფარგლებში. ახალგაზრდული ორგანიზაციები, ახალგაზრდები და სხვა დაინტერესებული მხარეები აქტიურად ივნენ ჩართული პროცესში, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავდა:

- „ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევის ანგარიში 2021“;
- ადამიანური რესურსის გაძლიერება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების და ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგებისა და სასწავლო კურსების მეშვეობით;
- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, პარტნიორობის დამყარება და საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა;
- არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესწავლა ეროვნულ და მუნიციპალიტეტის დონეზე, ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;

- სამუშაო შეხვედრები სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით, ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია იდეებისა და ინფორმაციის შეგროვების მიზნით;
- სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვები და დისკუსიები დოკუმენტის სრულყოფის მიზნით.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო ე.წ. „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა", რაც ითვალისწინებდა არსებული სიტუაციის ანალიზს და გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო მათ საფუძველზე შესაბამისი მიზნების და ამოცანების განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას. სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს ან შესაძლებელია, რომ იყოს ახალგაზრდობის მდგომარეობა მუნიციპალიტეტში; მიზნებს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ხედვის განხორციელებას; თითოეული მიზნისთვის სტრატეგიაში გაწერილია ამოცანები, და კონკრეტული ღონისძიებები - თითოეული ამოცანის მისაღწევად, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმას.

5. ხედვა

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მიზანი 1. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება

ახალგაზრდების განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემყობი ინსტრუმენტია ახალგაზრდული საქმიაონა. ის წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას. ახალგაზრდული საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან აქტივობებს (სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი და სხვ.), რომლებიც ახალგაზრდების მიერ, მათთან ერთად და მათთვის, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად ხორციელდება.

ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება პროფესიონალი (ანაზღაურებადი) და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკების მიერ. ისინი ფლობენ შესაბამისს კვალიფიკაციას და კომპეტენციებს, რათა იმუშავონ განსხვავებული ინტერესებისა და საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან ან მათ ჯგუფებთან.

ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარონ მრავალფეროვანი კომპეტენციები (ცოდნა, უნარი, დამოკიდებულებები). ახალგაზრდული საქმიანობა ეფუძნება არაფორმალურ განათლებას და ასევე ხელს უყობს გარემოს შექმნას ინფორმალური განათლებისთვის.

ამოცანები:

1.1. განვითარებულია ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი ახალგაზრდული საქმიანობის უნივერსალური და მიზნობრივი სერვისები და

პროგრამები, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას;

1.2. მხარდაჭერილია ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით;

1.3. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სივრცეები.

მიზანი 2. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა

ახალგაზრდების მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა გულისხმობს, რომ მათ აქვთ უფლებები, საშუალებები, სივრცე და შესაძლებლობები, საჭიროების შემთხვევაში კი, მხარდაჭერა, რომ მონაწილეობა მიიღონ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და შეეძლოთ მათზე ზეგავლენის მოხდენა; ასევე ჩართული იყვნენ ღონისძიებებში და აქტივობებში, რომ ხელი შეუწყონ უკეთესი საზოგადოების მშენებლობას .

ახალგაზრდებს მრავალი ფორმით შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფლობდნენ სრულყოფილ, პროაქტიურ და რელევანტურ ინფორმაციას არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების შესახებ; მუდმივად ხდებოდეს მონაწილეობის ახალი და ინოვაციური გზების მოძიება; ყურადღება არ იქნას გადატანილი მხოლოდ ახალგაზრდების დიდი რაოდენობით მონაწილეობაზე, არამედ ფოკუსირება ხდებოდეს ისეთ გზებსა და საშუალებებზეც, რომლებიც ახალგაზრდების მონაწილეობის უკეთესს ხარისხს უზრუნველყოფენ; საჭიროების შემთხვევაში, ახალგაზრდები იღებდნენ ფინანსურ, მორალურ, ინსტიტუციონალურ და სხვა მხარდაჭერას; არსებობდეს სივრცეები, სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან და ხვდებიან ერთმანეთს, ატარებენ დროს და ერთობიან, თანატოლებთან და თანამოაზრეებთან ერთად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებს და/ან მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა აქტივობებსა და პროგრამებში; და ახალგაზრდებს შეეძლოთ ინიციატივებისა და იდეების განხორციელება, რომლებიც ეფექტური და სასარგებლოა მათთვის, მათი თანატოლებისა და მთელი საზოგადოებისთვის.

ამოცანები:

2.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;

2.2. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და იღებენ შესაბამისს მხარდაჭერას;

2.3. მონაწილეობისა და დემოკრატიული კულტურის შესახებ ახალგაზრდების კომპეტენციები გაზრდილია და აქვთ პროაქტიური წვდომა სრულყოფილ, ხარისხიან და სასარგებლო ინფორმაციასთან მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ;

2.4. შექმნილია მონაწილეობის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო ყველა ახალგაზრდისთვის.

მიზანი 3. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა

ახალგაზრდებისთვის დღემდე ერთ-ერთი უმთავარესი პრობლემა დასაქმებაა, ხოლო მოსახლეობაში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია. გარდა ზოგადი მიზეზებისა, რაც დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასა და ზრდასთან და სამუშაო ადგილების სიმცირესთან, ეს გამოწვეულია მრავალი სხვა სპეციფიკური ფაქტორით (განათლების

სისტემიდან სამსახურზე გადასვლა, განათლების ხარისხი, საჭირო კომპეტენციების ნაკლებობა, ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული სამუშაო ადგილების სიმცირე და სხვა).

უსაფრთხო და ღისეული დასაქმება უზრუნველყოფს ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებას, მათი შესაძლებლობების რეალიზებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან ინტეგრაციას. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობა, შემცირდეს უმუშევრობა, ახალგაზრდები გახდნენ ფინანსურად უფრო მეტად დამოუკიდებლები, გაიზარდოს საკუთარი სამუშაოთი კმაყოფილების დონე; გაიზარდოს პროფესიულ განათლებასა და პროფესიული გადამზადების/მომზადების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა; ახალგაზრდებს ჰქონდეთ ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების შესახებ; მოხდეს ახალგაზრდებში დასაქმებისთვის საჭირო, მათ შორის სამეწარმეო, კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა; უწყვეტი კარიერული დაგეგმვის განვითარება. განსაკუთრებით აუცილებელია სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა და ყველა ახალგაზრდისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

ამოცანები:

3.1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო ინფორმაცია და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობები;

3.2. პროფესიული განათლების და განვითარების შესაძლებლობებზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა გაზრდილია.

7. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა. ის მოიცავს კონკრეტულ და დროში გაწერილ აქტივობებს, რომლებიც ამოცანებისა და მიზნების შესრულებას უზრუნველყოფს და სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების მოცულობის საკითხი ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის ორგანოების მსჯელობისა და დამტკიცების საგანი იქნება.

სტრატეგიის საერთო მართვაზე, განხორციელებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალურ უწყებას, რომლის კომპეტენციაშიც არის ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხები. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდებს, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე და ნაკლებად აქტიურებს, ჰქონდეთ სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობის სრული შესაძლებლობა. ისინი არამხოლოდ მუნიციპალური აქტივობების, სერვისების და პროგრამების ბენეფიციარები არიან, არამედ ჩართული იქნებიან პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაშიც.

მუნიციპალური სამსახურები და ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან სტრატეგიის განხორციელებაზე მათი საქმიანობისა და კომპეტენციის სფეროების მიხედვით. ისინი გაითვალისწინებენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროგრამები, სერვისები და აქტივობები შესაბამისობაში იყოს სტრატეგიასთან იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი არაა მითითებული სტრატეგიაში.

სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სხვა მნიშნველოვანი აქტორები, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სტრატეგიის წარმატებას, არიან: საქართველოს მთავრობა და შესაბამისი სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებულ

საკითხებზე მუშაობენ, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, ბიზნესი, მედია და მკვლევარები.

მუნიციპალიტეტი განახორციელებს სტრატეგიის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას ახალგაზრდებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით. ამ მიზნით რეგულარულად შეგროვდება სარწმუნო მონაცემები როგორც ბენეფიციარებიდან, ასევე აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციებიდან და ჩატარდება შესაბამისი კვლევები. კვლევისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოხდება სტრატეგიის გადახედვა, ადაპტირება და სრულყოფა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალური შედეგების მიღწევა. ამ პროცესში ყველა ეტაპზე ჩართული იქნებიან როგორც ახალგაზრდები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი მექანიზმები:

- ყოველი წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტი გამოაქვეყნებს სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს. რომელიც შეაფასებს სტრატეგიის განხორციელების შედეგად მიღწეულ პროგრესს. ანგარიშში ასახული იქნება განხორციელებული აქტივობები, მომავალი წლის გეგმები;
- ანგარიშის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიაში შევა ცვლილებები და დამატებები - სარწმუნო მონაცემების, მათი ანალიზისა და მიღებული გამოცდილების შედეგად დაინერგება ახალი აქტივობები და მიდგომები და გაუმჯობესდება მიმდინარე. სტრატეგია იქნება მოქნილი ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების ორიენტირებული;
- 3-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ განხორციელდება სტრატეგიის საბოლოო შეფასება. ანგარიში შეაჯამებს სტრატეგიის განხორციელების წარამტებას მისი ხედვისა და მიზნების შესაბამისად. საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით მოხდება ახალი დოკუმენტის შემუშავება და მიღება.

სტრატეგიის განხორციელების ამსახველი ანგარიშები წარედგინება მერს, საკრებულოს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყოს, მოხდეს მათი საჯარო განხილვა ახალგაზრდებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

8. სიტუაციური ანალიზი

ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდებს უამრავი გამოწვევისა და პრობლემის გადალახვა უწევთ. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობა ქვეყნის პრიორიტეტად არის მიჩნეული, დღესაც მათ წინაშე მთელი რიგი გამოწვევები დგას, რომელიც ქვეყნისა და მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა.
90-ანი წლებიდან მოყოლებული, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გაჩნდა ახალი პლატფორმა - შესაძლებლობებისა და გამოწვევების, რათა ამით ახალგაზრდული საქმიანობა გაძლიერებულიყო. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება და გარკვეული ძვრები შეინიშნება სფეროს განვითარებისათვის, თუმცა პროცესები სათანადოდ ვერ წავიდა რიგი მიზეზების გამო და მათი განვითარება დროებით შეფერხდა.

მნიშვნელოვანი გარდატეხა კი 2012 წელს მოხდა, როცა მთავრობის მიერ „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი" იქნა მიღებული ხოლო 2014 წელს კი შესწორებული და დამტკიცებულ იქნა. მომდევნო წელს კი შემუშავდა 2015- 2020 წლების სამოქმედო გეგმა. გარკვეული მიზეზების გამო, საბოლოოდ ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის პრაქტიკაში განხორციელება ვერ მოხერხდა.

2020 წელს კი პარლამენტმა დაამტკიცა „2020-2030 წლების საქართველოს ახალგაზრდული დოკუმენტის კონცეფცია", რომელშიც ძირითადი სტრატეგიული მიზნები განისაზღვრა ახალგაზრდული მიმართულებით. ახალგაზრდები, თითქმის ყველა სფეროში, როგორც გლობალურად, ასევე ლოკალურ დონეზე დღესაც უამრავი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე დგანან: დასაქმება, განათლების ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური გაძლიერება, მონაწილეობა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ სფეროში.

ამ პრობლემებზე საუბრობს როგორც კერძო და საჯარო, ასევე არასამთავრობო სექტორი. საქართველოში სხვადასხვა დროს ჩატარებული საერთაშორისო კვლევებიც ცხადჰყოფს, რომ პრობლემები საკმაოდ კომპლექსურია და საჭიროებს ერთობლივ მუშაობასა და სფეროს განვითარებისათვის ახალგაზრდების საკეთილდღეო ნაბიჯების გადადგმას.

ახალგაზრდული მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ახალგაზრდობის სააგენტო ასრულებს, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივ თვითმმართველობისთვის მენტორობის გაწევაზე, რათა ახალგაზრდული მუშაობა იყოს ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული.

2020 წელს ხობის მუნიციპალიტეტსა და ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული პასუხისმგეგბლობების აღებას, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე სააგენტოს მხრიდან. პირველი ეტაპისთვის გადამზადდნენ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სფეროს წარმომადგენლები. მათ ასევე გაიარეს მასიური ღია ონლაინ კურსი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ჩატარდა „ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა", რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, პირისპირ ინტერვიუებისა და ფოკუს დისკუსიების მეშვეობით. ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარდა სამი სიღრმისეული ინტერვიუ, სამი ფოკუსური დისკუსია ახალგაზრდების სამ ასაკობრივ ჯგუფთან, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებიდან. ამას დაემატა 150 პირისპირი ინტერვიუ 14-29 წლის ახალგაზრდებში.

კვლევამ აჩვენა, რომ ის პრობლემები, რომელიც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს აწუხებთ, საკმაოდ კომპლექსურია და გადაჭრის გზებზეც პოლიტიკის განმახორციელებელმა ორგანოებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ. ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას ახალგაზრდობაზე, სახელმწიფოსთან ერთად ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდების სრულფასოვან განვითარებას და მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნას.

ხობის მუნიციპალიტეტში ყველაზე სერიოზული გამოწვევა ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა. დასაქმების ხელშეწყობას განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად ასახელებს მოსახლეობის 61 % .

პროფესიული და ტექნიკური უნარ-ჩვევების ფლობა, ინგლისური ენის ცოდნა- ათიდან სამი ახალგაზრდა ასახელებს (35%)ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა, როგორებიცაა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (36);

აღსანიშნავია ბიბლიოთეკაზე ხელმისაწდვომობა მნიშვნელოვნად შეფასება 35%-ის მიერ; კვლევამ გამოავლინა მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების დაბალი მაჩვენებელი.

რეგიონში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (93%);

ახალგაზრდობის მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების მაჩვენებელი მინუციპალიტეტში დაბალია. ათიდან ექვსმა ახალგაზრდამ არ იცის მათი არსებობის შესახებ (60%);

ახალგაზრდებისთვის დიდ ნაწილს სხვადასხვა სერვისზე აქვს ხელმისაწვდომობა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ არცერთ სერვისზე არ აქვს წვდომა ახალგაზდების 32%-ს ხობის

მუნიციპალიტეტში; სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავება შეფასებულია, როგორც მნიშვნელოვანი და ამასთან, სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (55%); სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი და ამასთან, სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველოფა გნსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (55%). ამასთან, მიუხედავად სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავების მნიშვნელოვნად შეფასებისა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ არის მისით დაკავებული (58%);

რეგიონში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (93%); რეგიონში ახალგაზრდების არ მონაწილეობენ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (93%). ამასთან, 48% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ასევე, 14% მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში;

დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა მოხალისეობრივ საქმიანობაში. მსგავს აქტივობაში მონაწილეობის გამოცდილება არ აქვს ბოლო 1-2 წლის მანძილზე 59%-ს. ახალგაზრდები აღნიშნულის მთავარ მიზეზებად ყველგან ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ქონდათ სურვილი;

დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაშიც. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე 64% აფიქსირებს. აქაც მთავარ მიზეზებად სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ; ახალგაზრდებისთვის ყველა მუნიციპალიტეტში ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული (61%);

ახალგაზრდების 32%-ს უჭირს დაასახელოს ერთი უფლება მაინც, რომელიც სმენია. ამის მიუხედავად, 84% მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაცულია, როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის განზრახვა დაბალია. 61% არ ფიქრობს შიდა მიგრაციაზე და 85% არ ფიქრობს გარე მიგრაციაზე უახლოესი 2-3 წლის მანძილზე. მათი მთავარი მოტივაცია კი, ვინც ამგვარ განზრახვებს აფიქსირებს, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს. უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და უკეთესი ცხოვრების პირობებს უკავშირდება, როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციის შემთხვევაში;

საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია და 5.4 ქულას შეადგენს მაქსიმალური 7-დან; უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება მეტ-ნაკლებად დადებითია ამასთან, პირადად საკუთარი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილების მოლოდინი უფრო მაღალია (93%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (75%) თუ ქვეყნის (77%) შემთხვევაში.

პრობლემები, რომელიც კვლევაში იქნა ასახული საკმაოდ რეალისტურია და კარგად ასახავს იმ მდგომარეობას, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს აწუხებთ, ეს პრობლემები საჭიროებს სწრაფ და ეფექტიან ქმედებების განხორციელებას. სწორედ ამიტომაც, აუცილებელია მუნიციპალიტეტმა დასახოს სტრატეგიული გეგმა და აისახოს პოლიტიკის დოკუმენტში. სწორედ ეს სტრატეგია ემსახურება ახალგაზრდული სფეროს გააქტიურებისა და განთვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე გადაიყვანს ახალგაზრდულ საქმიანობას, ხელს შეუწყობს და გაზრდის ახალგაზრდების ჩართულობას, სხვადასხვა

პროცესებში. სამთავრობო უწყებები პასუხისმგებელნი არიან ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელებაზე, მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, ახალგაზრდებთან დაკავშირებით განხორციელებული სტრატეგიები და პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს ახალგაზრდობის პოლიტიკის პრინციპებთან.

ხობის მუნიციპალიტეტში შექმნილია ხობის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიქმნა ხობის მერიასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ,,განათლების და განვითარების ცენტრი თოლისკური'' და ,,პირველი მაისის ახალგაზრდულ ცენტრის'' ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად.

ინიციატივას მხარს უჭერს „World Vision საქართველო" და ,,ახალგაზრდული ასოციაცია დრონი" პროექტის ,,ძლიერი კომპეტენციები ნათელი მომავლისთვის" ფარგლებში. პროექტი დაფინასებულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

საბჭო უკვე რამდენიმე თვეა ფუნქციონირებს. საბჭოს მიზანს წარმოადგენს იყოს შუამავალი რგოლი ადგილობრივ თვითმმართველობასა და ახალგაზრდებს შორის და ის პრობლემები, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებობას მიიტანოს თვითმმართველობის ორგანოებში. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ინტერესები იქნას გათვალისწინებული ბიუჯეტის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საბჭო შედგება 22 ახალგაზრდისგან, რომლებიც მუნიციპალიტეტის ცხრა ადმინისტრაციული ერთეულიდან იქნა არჩეული გასაუბრების წესით, რომელსაც მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთობლივად ესწრებოდნენ. საბჭოს წევრები შემდგომ გადამზადნენ ბაკურიანში, სატრეინინგო კურსით „გუნდის შეკვრა და გუნდური პრინციპები", რის შემდგომაც არჩეულ იქნა თავმჯდომარე და მოადგილეები და ჯგუფი დაიყო კომიტეტებად.

საბჭოს მუშაობა საკმაოდ აქტიური და მნიშვნელოვანი გახდა მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. ისინი აქტიურად თანამშრომლებენ მერიის ახალგაზრდულ სამსახურთან.

2021 წლის 25 ნოემბერს საბჭო შეხვდა კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელს, ახალგაზრდული სამსახურის განყოფილების უფროსსა და სპეციალისტს. შეხვედრაზე საუბარი შედგა სხვადასხვა ახალგაზრდულ პრობლემებზე და გამოწვევებზე რაც მუნიციპალიტეტშია, დაგეგმილ და სამომავლოდ დასაგეგმ ახალგაზრდულ ღონისძიებებზე, ახალგაზრდებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და გარკვეული სურვილები, თუ როგორ და რა ფორმით იქნება ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების პროცესში ახალგაზრდების ჩართვა და მონაწილეობა მნიშვნელოვანი. საუბარი შეეხო სამომავლოდ საახალწლო ღონისძიებებს და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ამ პროცესში. ბიუჯეტირების საკითხებს, წარსულ გამოცდილებებს და სამომავლო თანამშრომლობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი შეხვედრის მეორე ნაწილი გახლდათ, სადაც საბჭოს პირველმა მოადგილემ მათ მიერ ხობის მუნიციპალიტეტისა და მერიისთვის მომზადებული რეკომენდაციები გააცნეს სამსახურს. რეკომენდაციები მომზადდა საბჭოს კომიტეტების მიერ ოფიციალური დოკუმენტის სახით.

რეკომენდაციებში საუბარია იმ პრობლემებზე, რაც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას აწუხებს და რაც ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაკვეთით შესრულებულ „ ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების„ კვლევაში გამოვლინდა:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა
- პირდაპირ კომუნიკაციას ახალგაზრდულ სამსახურთან
- ბიუჯეტირების განხილვის პროცესში ახალგაზრდების ჩართვას
- საკრებულოს სხდომებში ახალგაზრდების დასწრება და ჩართვა

- არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პროგრამების შექმნა და გააქტიურება
- გარემოს დაცვითი ღონისძიებების გააქტიურება
- შშმ და სსმ ახალგაზრდების აქტივობებსა და ღონისძიებებში ჩართვა და მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნა.
- ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა.
- მუნიციპალიტეტის მხრიდან ახალგაზრდების დასაქმებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევევების ასამაღლებელი კურსების უზრუნველყოფა და სხვა.

ახალგაზრდული საბჭო აქტიურად არის მუნიციპალიტეტში პოლიტიკური დოკუმენტის შექმნის პროცესში ჩართული და მათ მიეწოდებათ ინფორმაცია იმ პროცესების შესახებ, რომელიც აისახება ახალგაზრდობის პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტში.

მუნიციპალიტეტში ასევე შექმნილია მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნასა და კორდინაციაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობა დამტკიცებულია მერის ბრძანებით.ჯგუფის მიზნია იმუშაოს, გადაწყვიტოს და მონიტირინგი გაუწიოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების და ოფიციალურად შექმნის პროცესს.

სამუშაო ჯგუფის წევრების რაოდენობა განისაზღვრა მერის ბრძანებით და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მასში შედის რაიონში ახალგაზრდობის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს წარმომადგენლები. მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები (ახალგაზრდული სამსახური, საფინანსო, იურიდიული და ასევე საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი), მუნიციპალიტეტში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული მუშაკი და ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრისა და კვლევის გაანალიზების პროცესში, რომელიც სააგენტოს რეკომენდაციით ჩატარდა და რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, რამოდენიმე მნიშვნელოვან პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება. ითქვა, რომ გამოწვევები საკმაოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც. ასეთ პრობლემად ახალგაზრდების უმუშევრობა და ზოგადი სოციალური ფონი დასახელდა. რამოდენიმე კონკრეტულად ხობის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაც, მნიშვნელოვანია, რომ ამ პრობლემების იდენტიფიცირების დროს სრულად გათვალისწინებულ იქნა ახალგაზრდული საბჭოს რეკომენდაციები, რომელზეც მომდევნო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი გააგრძელებს მუშაობას. ეს პრობლემები იქნება რელევანტური, არ გასცდება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროს, გათვალისწინებული იქნება შესაბამისი ბიუჯეტით და ასევე ასახული იქნება სამწლიან სტრატეგიის დოკუმენტში.

ერთ-ერთ ასეთ პრობლემას ახალგაზრდული სივრცის არარსებობა წარმოადგენს რიგ მუნიციპალიტეტებში. მათ რიცხვს მიეკუთვნება ხობიც, სადაც სამწუხაროდ არ არის ახალგაზრდებისთვის შესაბამისი სივრცეები. უნდა აღინიშნოს, რომ ხობში ახალგაზრდული სივრცის არსებობა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს. კვლევისა, რომელიც ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ იქნა 2020 წელს ჩატარებული.

ხობის მუნიციპალიტეტში 22 ადმინისტრაციული ერთეულია, ოცდაერთი ადმინისტრაციული ერთეული და ერთი ქალაქის ტიპის დასახლება, ცენტრი ქ.ხობი, სადაც თავს იყრის თითქმის ყველა მნიშვნლოვანი ობიექტი თუ დაწესებულება, თუმცა თანამედროვე ახალგაზრდული სივრცე არ გვაქვს. არსებობს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, რომელიც ქალაქში ფუნქციონირებს და სხვადასხვა სამოქალაქო თუ საინიციატივო აქტივობებითა და წრეებით ასზე მეტ ახალგაზრდას უფასოდ ემსახურება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ცენტრი კარგი პლატფორმა იქნება სამომავლოდ ახალგაზრდებისთვის, თუ იქ აქტიური

რეფორმირების და განახლების შესაძლებლობა გაჩნდება, სადაც აუცილებლად ახალგაზრდებთან იმუშავებს ახალგაზრდული მუშაკი. დანარჩენი 19 ადმინსტრაციულ ერთეულიდან კი მხოლოდ ერთ თემში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც ახალგაზრდების დიდი ძალისხმევით, ადგილობრივი თვითმმართველობის და არასამთავრობო ორგანზაციების თანამშრომლობით შეიქმნა. ეს არის პირველი მაისის ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც ოთხი სოფლის ახალგაზრდებს აერთიანებს. ახალგაზრდების საკმაოდ ფართო მასშტაბის აქტიურობამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო და ეს ახალგაზრდული სივრცე დღეს ნამდვილად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია, სადაც ახალგაზრდები არაფორმალური განათლების მიღებით მნიშვნელოვანი ცვლილებების ინდიკატორს წარმოადგენენ არა მხოლოდ კონკრეტულ თემში, არამედ მუნიციპალიტეტის მასშტაბითაც.

პირველ რიგში, განვსაზღვროთ, რა არის ახალგაზრდული სივრცე, რას აძლევს ახალგაზრდას ასეთი სივრცეების არსებობა და რა მიზანს ემსახურება? ეს არის ადგილი, სადაც ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში ერთმანეთთან კომუნიკაციისა და ურთიერთობების შესაძლებლობა ეძლევათ. ახალგაზრდებისათვის ეს უნდა გახდეს სივრცე, სადაც ისინი შეძლებენ შეკრებას, თემისთვის სასარგებლო პროექტების, კულტურულ შემოქმედებით ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ეს სივრცები სწორედ ისეთი ახალგაზრდებისთვის უნდა იყოს, რომლებიც დარჩნენ საკუთრ თემში, საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულში. ცენტრი უნდა შეიქმნას ახალგაზრდების ინიციატივითა და ახალგაზრდების მონაწილეობით. თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყვნენ როგორც ქალაქის ასევე სოფლის ახალგაზრდები, მათ თანაბრად უნდა შეეძლოთ არაფორმალური განათლების მიღება ასეთი ცენტრებისგან. ახალგაზრდები ვერ იღებენ არაფორმალურ განათლებას, არ არიან ჩართლები სხვადასხვა პროგრამებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათი მონაწილეობა საკმაოდ დაბალია, მძიმეა და საჭიროებს მუნიციპალიტეტის ჩართვას და დახმარებას.

სოფლებში დღეს ყველაზე მეტად ასეთი სივრცეები სჭირდებათ ახალგაზრდებს, სადაც სკოლის გარე აქტივობებს განახორციელებენ და იმ რესურსს და პოტენციალს, რაც ყველა ახალგაზრდაშია, რეალიზებას გაუკეთებენ. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ცენტრები სრულად ფარავდეს ახალგაზრდულ ასაკს 14 - 29 წლამდე, ახალგაზრდების იმ ნაწილისთვის , რომლებმაც ვერ შეძლეს ბოლომდე საკუთარი თავის რეალიზება, ვერ დასაქმდნენ ან უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაუბრუნდნენ საკუთარ მუნიციპალიტეტს, ეს სივრცეები სწორედ ასეთ ტიპის ახალგაზრდებისათვის შეიძლება გახდეს მომავალი წარმატების ტრამპლინი. ის, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ამ ასაკობრივ კატეგორიას სჭირდება მხარდაჭერა და წახალისება ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ჩატარებულ კვლევაშიც ჩანს და რაც მთავარია ჩანს ყოველდღიურობაში.

კვლევაში საუბარია, რომ "ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია შეკრებებისთვის სივრცეების არსებობა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულში კვლევის მონაწილე ახალგაზრდები უფრო გასართობი ტიპის სივრცეებს მოიაზრებენ და ნაკლებად სივრცეებს არაფორმალური განათლების მისაღებად, დისკუსიების გასამართად თუ სხვა მსგავსი ტიპის აქტივობის დასაგეგმად. ახალგაზრდების შეფასებით, შეკრებების, პირველ რიგში კი გართობისათვის განკუთვნილი ადგილების არსებობა ახალგაზრდების ცხოვრებას მრავალფეროვანს გახდიდა. ახალგაზრდული სივრცეების არსებობა რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხაზგასმული იყო კვლევის მონაწილე ძირითად ინფორმანტთა მიერაც. ამგვარი სივრცის არსებობის მნიშვნელობას ასახელებს გამოკითხულტა 44%-იც."

ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად სივრცეების არარსებობა დასახელდა ხობის ახალგაზრდულ საბჭოსთან შეხვედრის დროს, ახალგაზრდებმა გამოთქვეს სურვილი, რომ უნდა არსებობდეს ერთი სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავშეყრას და სადაც ყველა პირობა იქნება იმისათის, რომ მათ შესაბამისი უნარები განავითარონ.

ინფრასტრუქტურული ნაწილის გარდა, ასეთ ცენტრებში აუცილებლად უნდა იყოს კვალიფიციური ახალგაზრდული მუშაკი, რომელიც პირდაპირ იმუშავებს ახალგაზრდებთან, მხარს დაუჭერს მათ განვითარებასა და შესთავაზებს მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებულ აქტივობებს. ახალგაზრდული მუშაკის ცნება და ზოგადად კვალიფიციური მუშაკი, სამწუხაროდ მუნიციპალიტეტში რამოდენიმეა. ამიტომაც სახელმწიფო პროგრამებში ადამიანების ჩართვა და ახალგაზრდული მუშაკის, როგორც პროფესიის აღიარება, პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან.

მეორე პრობლემა, ეს არის არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა და ისეთი პროგრამების შეთავაზება მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის, რომელიც მათ გარკვეულ უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს. აუცილებელია მუნიციპალიტეტმა შექმნას და განახორციელოს ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც ახალგარდების გააქტიურებას და საჭირო კომპეტენციების განვითარებას შეუწყობს ხელს. მნიშვნელოვანია დაიგეგმოს სხვადასხვა ტიპის ტრენინგები, საგანმანათლებო თუ შემეცნებითი ღონისძიებები.

ცივილიზებული სამყარო უკვე დიდი ხანია თანხმდება, რომ არაფორმალური განათლება ფორმალურ განათლებასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის განვითარებაში, მის ჩამოყალიბებასა და პიროვნულ ზრდაში, ბევრი ქვეყნის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არაფორმალური განათლება აღიარებულია სახელმწიფოს მხრიდან და მხარდაჭერილია, როგორც სისტემა და უზრუნველყოფილია მისი რეალიზაციის პირობებიც. ქართულ სინამდვილეში კი მათ შორის მუნიციპალიტეტების დონეზე, არაფორმალური განათლების კერები და პროგრამები ახლა იკიდებს ფეხს, თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არსებობს მიმღებლობა და სურვილი, იმისა რომ ყველა ახალგაზრდა უზრუნველყოფილი იქნეს აღნიშნული სერვისის მიღებით. ინდივიდები, რომლებიც ზრუნავენ თვითგანვითარებაზე ძალიან კარგად ხვდებიან, არაფორმალური განათლების არსს და აღიარებენ, რომ ეს მიდგომები პირდაპირ კავშირშია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ადამიანების არსებობაზე.

ქვეყანაში ახალაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია ოთხი სტრატეგიული მიმართულება, ესენია განათლება, დასაქმება და მობილობა; ჯანმრთელობა და ცხოვრების ჯანსაღი წესი; ახალგაზრდების სპეციალური მხარდაჭერა და სოციალური დაცვა. ეს ზოგადი საკვანძო პრობლემებია, რომელიც თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში არებობს, რადგანაც ოფიცილური მონაცემებით საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ხალგაზრდებში ფიქსირდება (30,7 %). როგორც მთლიანი ქვეყნის მაშტაბით ასევე ხობის მუნიციპალიტეტში, ამ კუთხით რადიკალური ცვლილებები არგვაქვს, უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემები არ გვაქვს კონკრეტულად ახალგაზრდობის რამდენი პროცენტია უმუშევარი, პრობლემის სიმწვავე თვალსაჩინო და ნათელია.

განსაკუთრებულად ეს გამოწვევა უმაღლესდამთავრებულ 22-29 წლამდე ასაკის მოქალაქეებში გვხდება. ახალგაზრდები, რომლებიც სკოლის შემდეგ სხვადასხვა ქალაქებში განათლებას იღებენ და უბრუნდებიან მუნიციპალიტეტს, ფაქტობრივად უმუშევრები რჩებიან რადგანაც მუნიციპალიტეტი მათ ვერ სთვაზობს სამუშაო ადგილებს ან შესაბამის სამუშაო პირობებს. შრომის ბაზარზე დამკვიდრების წარუმატებელი მცდელობა და განსაკუთრებით ხანგრძლივი უმუშევრობა ახალგაზრდებში იწვევს სასოწარკვეთილებას, უძლურებას და დაბნეულობას. უმუშევრობასთან შეჯახება უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულებაზე. მაღალია განქორწინების, თვითმკვლელობის, დაავადებების და კრიმინოლოგიური ქმედებების მაჩვენებელი, მცირდება ახალგაზრდების თვითშეფასება და იზრდება მომავლისადმი უიმედობის გრძნობა.

უმუშევრობა რომ მწვავე პრობლემაა, ბევრმა კვლევამ დაადასტურა. კვლევა, რომელიც ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს იქნა ჩატარებული ახალ მონაცემებს წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტში, თვალსაჩინოს ხდის პრობლემას. გამოკითხულთა უმრავლესობის თქმით, პირველი რიგის პრობლემა ეს არის უმუშევრობა. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა დასაქმების პრობლემად როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციას ასახელებს. მიგრაცია ბუნებრივია, რიგი პრობლემებით არის გამოწვეული და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ისევ და ისევ უმუშევრობაა. კვლევის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია სპეციალური პროგრამების შეთავაზება ახალგაზრდებისთვის მათი გადამზადების გზით, რათა მოხდეს დასაქმების ხელშეწყობა, რისი ნაწილიცაა უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტს აქვს იმედი, რომ პროცესების მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ, შემცირდება ახალგაზრდული პრობლემები, რადგანაც ამ პრობლემების მოუგვარებლობა ბუნებრივია აღრმავებს და საფრთხეს უქმნის ახალგაზრდულ გარემოს მის განვითარებას და გაძლიერებას.

ხობის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც რაიონის თუ ქვეყნის მაშტაბით ახალგაზრდული სფეროს განვითარებისათვის მუშაობს, პირველი მნიშვნელოვანი შედეგი, რაც ამ პროცესების კვალდაკვალ მიმდინარეობდა ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად მემორანდუმის ფარგლებში სტრატეგიის შემუშავება და ჩამოყალიბებაა.

9. სამოქმედო გეგმა 2023-2025

მიზანი 1. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	ინდიკატორები	პასუხისმგებელი / პარტნიორი	ვადა (წელი)	დაფინანსების წყარო	2023 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმა
ამოცანა 1.1. განვითარებულია ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი ახალგაზრდული საქმიანობის უნივერსალური და მიზნობრივი სერვისები და პროგრამები, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას					
1.1.1. ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი, მათზე მორგებული და მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისი ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განვითარება და ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამები არაფორმალური განათლების საფუძველზე ხორციელდება, ჩართული არიან პროფესიონალი და მოხალისე ახალგაზრდული მუშაკები და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას.	- ყოველწლიურად ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებში მონაწილეობს სულ მცირე 100 ახალგაზრდა ახალგაზრდული ცენტრების ბაზაზე და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	
1.1.2. მობილური და ქუჩის ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება.	- გადამზადებულია სულ მცირე 4 ახალგაზრდული მუშაკი.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია /	2024-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	

		არასამთავრობო სექტორი			
1.1.3. ციფრული წიგნიერების სწავლება ახალგაზრდებისთვის. ციფრული წიგნიერება არის კომპეტენციების (ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები) ერთობლიობა, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანად და მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.	- ყოველწლიურად ციფრული წიგნიერების კურსებს გადის სულ მცირე 50 ახალგაზრდა.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2024-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	
1.1.4. საჭიროებების მოკვლევა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფა იმ ახალგაზრდებისთვის, ვინც ნაადრევად შეწყვიტა სწავლა.	- დამატებითი საგანმანათლებლო შესაძლებლობები შექმნილია ყველა ახალგაზრდისთვის, ვინც ნაადრევად შეწყვიტა სწავლა	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი / დონორული დაფინანსება	
1.1.5. ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა კულტურულ-შემოქმედებით, გართობა-დასვენების, სპორტულ და ფიზიკური აქტივობის ღონისძიებებში.	- ყოველწლიურად კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართულია 50-100 ახალგაზრდა - ყოველწლიურად გართობა-დასვენების ღონისძიებებში ჩართულია 30-40 ახალგაზრდა - ყოველწლიურად სპორტულ და ფიზიკური აქტივობის ღონისძიებებში ჩართულია 50-100 ახალგაზრდა	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
ამოცანა 1.2. მხარდაჭერილია ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით					
1.2.1. ახალგაზრდული მუშაკების სერტიფიცირება. სერტიფიცირებას გაივლიან როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლები (მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკები/კოორდინატორები), ასევე ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობენ სხვადასხვა სივრცეებში.	- სერტიფიცირებულია სულ მცირე 6 ახალგაზრდული მუშაკი.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი / დონორული დაფინანსება	
1.2.2. კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების შეთავაზება ახალგაზრდული მუშაკებისთვის. გადამზადდებიან როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლები (მუნიციპალური ახალგაზრდული	- ყოველწლიურად კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამას გადის სულ მცირე 12 ახალგაზრდული მუშაკი.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი / დონორული დაფინანსება	

მუშაკები/კოორდინატორები), ასევე ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობენ სხვადასხვა სივრცეებში.					
ამოცანა 1.3. ფუნქციონირებს ხელმისაწვდომი ახალგაზრდული სივრცეები					
1.3.1. ღია, ხელმისაწვდომი და ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებული ახალგაზრდული ცენტრების მუშაობის უზრუნველყოფა, სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან და ხვდებიან ერთმანეთს, ატარებენ თავისუფალ დროს და ერთობიან, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამებსა და აქტივობებს და/ან მონაწილეობას იღებენ მათში.	- მოქმედებს სულ მცირე 3 ახალგაზრდული ცენტრი: ხობში (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი), საჯიჯაოს და 1 მაისის ადმინისტრაციული ერთეულებში	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
1.3.2. ბიბლიოთეკების მოდერნიზება, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, თანამშრომელთა გადამზადება ახალგაზრდულ მუშაკებად, ინტერნეტის უზრუნველყოფა, წიგნადი ფონდის განახლება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელებისათვის.	- მოდერნიზებულია სულ მცირე 6 ბიბლიოთეკა და ჩართულია ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელებაში	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
1.3.3. ახალგაზრდული ცენტრების და ბიბლიოთეკების მართვა ახალგაზრდების ჩართულობით. ცენტრების მართვის ერთიანი მოდელის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებს და მისცემს მათ შესაძლებლობას, რომ ახალგაზრდულ მუშაკთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ცენტრების (ბიბლიოთეკების) მართვაში, დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები მათი სურვილის მიხედვით.	- ყველა ახალგაზრდულ ცენტრში მუშაობს მინიმუმ 1 ახალგაზრდული მუშაკი; - უზრუნველყოფილია ახალგაზრდების მონაწილეობა ცენტრების (ბიბლიოთეკების) მართვაში; - ცენტრებს (ბიბლიოთეკებს) გამოყოფილი აქვთ ბიუჯეტი ღონისძიებების განსახორციელებლად.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	

მიზანი 2. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	ინდიკატორები	პასუხისმგებელი / პარტნიორი	ვადა (წელი)	დაფინანსების წყარო	2023 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმა
ამოცანა 2.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია					

2.1.1. ახალგაზრდული საბჭოს შექმნა. წარმომადგენლობითი ახალგაზრდული საბჭოს მიზანი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა, კერძოდ: ა) მონაწილეობა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში; ბ) მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში; გ) ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა და მათი ადვოკატირება; ე) ახალგაზრდების ინფორმირება.	- ახალგაზრდები ინფორმირებული არიან საბჭოს შესახებ; - ახალგაზრდული საბჭო დაკომპლექტებულია და ფუნქციონირებს დამტკიცებული დებულების შესაბამისად.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023	ადგილობრივი ბიუჯეტი	
2.1.2. ახალგაზრდული საბჭოს გაძლიერება. საბჭო უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამუშაო სივრცით შეხვედრების ჩასატარებლად, ტრანსპორტირებით ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალგაზრდებთან შეხვედრისთვის, სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფას და ა.შ. საბჭოს წევრებისთვის ასევე აუცილებელია მხარდაჭერა კომპეტენციების განვითარებაში.	- ახალგაზრდული საბჭო მისი ფუნქციების განხორციელების თვის იღებს შესაბამის მხარდაჭერას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან; - საბჭოს წევრებისთვის ხელმისაწვდომია ტრენინგ-პროგრამა კომპეტენციების განვითარებისთვის.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
2.1.3. ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ტიპის, მათ შორის ინფრასტრუქტურული, ღონისძიებებისა და პროგრამების დაგეგმვაში ახალგაზრდებთან შეხვედრების, მათი აზრის შესწავლის, მოკვლევის, ფოკუს-ჯგუფების ჩატარების, გამოკითხვის, კონსულტაციის და სხვა მეთოდების გამოყენებით ახალგაზრდული საბჭოს მეშვეობით და რაც ასევე გულისხმობს ჩართულობას მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში.	- ისეთი ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელებამდე, რომლებიც ახალგაზრდებს ეხებათ, რეგულარულად ხდება წინასწარ მათი საჭიროებებისა და ინტერესების მოკვლევა; - ჩატარებულია წელიწადში სულ მცირე 6 მოკვლევა ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირებისთვის და გათვალისწინებუ	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	

	ლია პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვაში; - შემუშავებულია და პრაქტიკაში გამოიყენება ახალგაზრდების მიერ პროგრამებისა და ღონისძიებების შეფასების მეთოდოლოგია; - მოკვლევა და შეფასება ხორციელდება ახალგაზრდული საბჭოს მეშვეობით.				
2.1.4. ახალგაზრდების ჩართვა ბიუჯეტირების პროცესში	- ყოველწლიურად ახალგაზრდები მონაწილეობენ საბიუჯეტო პროცესში, პრიორიტეტების დოკუმენტის, ბიუჯეტის პროექტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა ხდება ახალგაზრდებთან.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
ამოცანა 2.2. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და იღებენ შესაბამისს მხარდაჭერას					
2.2.1. ახალგაზრდული ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების განვითარების მხარდაჭერა	- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სულ მცირე 1 საოფისე სივრცე, სადაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს აქვთ შეხვედრების ჩატარებისა და პროექტებსა და ღონისძიებებზე მუშაობის შესაძლებლობა.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2024-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	

2.2.2. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და წახალისება	- ყოველწლიურად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ახალგაზრდების მიერ დაგეგმილი და განხორციელებულია სულ მცირე 1 ღონისძიება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერით.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
2.2.3. ახალგაზრდული იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა და დაფინანსება. იდეების მიღება მოხდება როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან, ასევე ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფებისგან, ხოლო კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენაში ჩართული იქნებიან ახალგაზრდები და სხვა დაინტერესებული მხარეები. გამარჯვებული იდეები მიიღებენ (თანა)დაფინანსებას ან სხვა ტიპის მხარდაჭერას.	- - ყოველწლიურად ბიუჯეტში გამოყოფილია სულ მცირე 12 000 ლარის ოდენობით (ყოველ წლიურად პროექტის განმავლობაში) დაფინანსება ახალგაზრდების ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერისა და განხორციელების თვის; - განსაზღვრულია იდეებისა და ინიციატივების წარმოდგენის და გამარჯვებულების გამოვლენის წესი და პირობები; - გადაწყვეტილებების მიღება გამარჯვებული იდეებისა და ინიციატივების შესახებ ხდება ახალგაზრდებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით,	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	

	პარიტეტულ საწყისებზე.				
ამოცანა 2.3. მონაწილეობისა და დემოკრატიული კულტურის შესახებ ახალგაზრდების კომპეტენციები გაზრდილია და აქვთ პროაქტიური წვდომა სრულყოფილ, ხარისხიან და სასარგებლო ინფორმაციასთან მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ					
2.4.1. საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს ცნობიერების ამაღლებაში და კომპეტენციების განვითარებაში ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის, მონაწილეობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების შესახებ.	- ყოველწლიურად საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა მიღებული აქვს სულ მცირე 50 ახალგაზრდას.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	
2.4.2. საინფორმაციო პლატფორმის (ციფრული მედია, სოციალური ქსელები) შექმნა, სადაც პროაქტიულად იქნება განთავსებული ინფორმაცია ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეებისა და ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ.	- შექმნილია და ფუნქციონირებს საინფორმაციო პლატფორმა; - ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ მხარეს.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
2.4.3. საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელთა მიზანი ახალგაზრდებისთვის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შესაძლებლობების გაცნობა და მათ გამოყენებაში მხარდაჭერაა, ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა საშუალებებით, ბუკლეტების დაბეჭდვა და ადგილობრივი გაზეთით გაშუქება, მათ შორის წარმატებული ახალგაზრდების მაგალითების.	- ყოველწლიურად ჩატარებულია სულ მცირე 10 შეხვედრა; - ყოველწლიურად შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 100 ახალგაზრდამ; - ყოველწლიურად დაბეჭდილია სულ მცირე 100 ბუკლეტი; - ყოველწლიურად ქვეყნდება სულ მცირე 12 სტატია.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
ამოცანა 2.4. შექმნილია მონაწილეობის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო ყველა ახალგაზრდისთვის					
2.4.1. 18-29 წლის ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა და მათ საფუძველზე პროგრამებისა და აქტივობების განხორციელება.	- ყოველწლიურად სტრატეგიით	ხობის მუნიციპალიტე	2023-2025	ადგილობრივი	

	გათვალისწინებულ და ახალგაზრდებთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების სულ მცირე მეხუთედი 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება.	ტის მერია		ბიუჯეტი	
2.4.2. გენდერული თანასწორობის გათვალისწინება სტრატეგიით გათვალისწინებულ და სხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებში	- სტრატეგიით გათვალისწინებულ და ყველა სხვა ახალგაზრდულ ღონისძიებაში, სპეციფიკიდან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის ასპექტები გათვალისწინებულია და ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების ინტერესები და საჭიროებები თანაბრად უზრუნველყოფილია.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
2.4.3. ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებში სპეციალური საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინკლუზიური მონაწილეობის ხელშეწყობა, მათ შორის თანატოლ განმანათლებელთა საქმიანობის მხარდაჭერით.	- ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია სპეციალური საჭიროების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების ინტერესები და მორგებულია მათზე.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
2.4.5. სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობის, ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.	- შესყიდულია სატრანსპორტო მომსახურება ახალგაზრდების თვის, რომ	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი	

	მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიით გათვალისწინებულ და ახალგაზრდებთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებში.				
2.4.6. უფასო და ხარისხიან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ახალგაზრდებისთვის.	- უფასო და ხარისხიანი ინტერნეტი ხელმისაწვდომია, ხობის ცენტრალურ პარკში, ახალგაზრდულ ცენტრებში, ბიბლიოთეკებში.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2021-2024	ადგილობრივი ბიუჯეტი	

მიზანი 3. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა

პროგრამების / პროექტების / ღონისძიებები (მოკლე აღწერა)	**ინდიკატორები**	**პასუხისმგებელი / პარტნიორი**	**ვადა (წელი)**	**დაფინანსების წყარო**	**2023 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმა**
ამოცანა 3.1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო ინფორმაცია და კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობები					
3.1.1. სასწავლო კურსების მხარდაჭერა ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი კომპეტენციების გაძლიერებას და შემდგომ დასაქმებას. სასწავლო კურსების თემატიკა (უცხო ენები, კომპიუტერული უნარები, და სხვ.) განისაზღვრება ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების მოკვლევის საფუძველზე.	- ყოველწლიურად სასწავლო კურსებში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 50 ახალგაზრდამ.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი / კერძო სექტორი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	
3.1.2. კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაზრდა და ამ მიზნით პლატფორმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორსა და ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციას და მიაწვდის ახალგაზრდებს ინფორმაციას კერძო სექტორში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.	- ყოველწლიურად ორგანიზებულია სულ მცირე 1 შეხვედრა კერძო სექტორთან მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის გაცნობის მიზნით; - შემუშავებულია წინადადებები, რომ მოხდეს ახალგაზრდების სტაჟირება, გაცნობითი ხასიათის ვიზიტები, დასაქმების, მათ შორის სეზონური და საზაფხულო	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი / კერძო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	

	დასაქმების, შესაძლებლობების შექმნა კერძო სექტორში.				
3.1.3. ახალგაზრდებს შორის სამეწარმეო განვითარების ხელშეწყობა.	- ახალგაზრდები პროაქტიურად იღებენ ინფორმაციას სამეწარმეო და ბიზნეს საქმიანობის დაწყებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ და მხარდაჭერას ასეთ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი / კერძო სექტორი	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	
3.1.4. ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების სერვისების შესახებ დასაქმების სააგენტოსთან თანამშრომლობით.	- ყოველწლიურად ტარდება სულ მცირე 2 შეხვედრა ან ღონისძიება დასაქმების სააგენტოსთან ერთად.	ხობის მუნიციპალიტეტის მერია	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
ამოცანა 3.2. პროფესიული განათლების და განვითარების შესაძლებლობებზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა გაზრდილია					
3.2.1. ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული განათლების პროგრამებისა და კურსების შესახებ.	- ჩატარებულია სულ მცირე 3 საინფორმაციო კამპანია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 300 ახალგაზრდამ	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი	
3.2.2. პროფესიული მომზადების / გადამზადების და სასწავლო კურსების მხარდაჭერა და დაფინანსება ახალგაზრდებისთვის.	- პროფესიული მომზადების / გადამზადების და სასწავლო კურსები გაიარა სულ მცირე 50 ახალგაზრდამ	ხობის მუნიციპალიტეტის მერია / არასამთავრობო სექტორი / კერძო სექტორი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	2023-2025	ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორული დაფინანსება	